გია მურღულია

საქართველოს პირველი არხის განვითარების კონცეფცია

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მუშაობს იმისთვის, რათა ქართველი საზოგადოება და სახელმწიფო განვითარდნენ უმთავრესი ეროვნული მიზნებისა და თანამედროვე გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემის კანონით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად.

ამგვარი სამუშაო გულისხმობს **მთავარ პრინციპებს,** რომლებსაც უნდა დაეფუძნოს განვითარების კონცეფცია.

ეს პრინციპებია:

1. **სრული მისაწვდომობა** (ინფრასტრუქტურისა და ტექნიკურ შესაძლებლობათა მუდმივი განვითარების კვალდაკვალ შექმნილი პროდუქტების მიწოდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ყველგან, სადაც ამის ინტერესი არსებობს). ამ პრინციპის სარეალიზაციოდ აშენდა მაუწყებლის ახალი შენობა, რომლის ტექნიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა უმაღლეს სტანდარტებს ეფუძნება და გამოხატავს. ახალ ეტაპზე აუცილებელია ამ შენობისა და თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოყენება მარალი ხარისხის სატელევიზიო პროდუქტების შესაქმნელაად. ბუნებრივია, ჩემს აუცილებელ პრიორიტეტად მესახება მთლიანი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება.

2. **საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან და კონსტიტუციით დეკლარირებულ ღირებულებათა** (დემოკრატია, სამართლიანობა, წესიერება, ღირსება, კანონის პატივისცემა) **ერთგულება და მსახურება;** სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა - პირველი არხი უნდა განასახიერებდეს ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს კონსტიტუციურად დეკლარირებულ ხედვებსა და ინტერესებს, მუდმივად წარმოაჩენდეს ამ მიმართულებებით საუკეთესო გამოვლინებებს, ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას; აუცილებელია სახელმწიფოში მცხოვრებ უმცირესობათა ინტერესების გამოხატვის გათვალისწინება. პირველი არხი, კანონით განსაზღვრულ პროგრამულ პრიორიტეტთა გათვალისწინებით მუდმივად უნდა განასახიერებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების მთავარ ინტერესებს, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ პრიორიტეტებს. მნიშვნელოვან ამოცანად მესახება დისკუსიისა და მსჯელობის საინფორმაციო ველის შექმნა, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება საზოგადოებისთვის ქვეყნის განვიტარების მთავარ ღირებულებათა სრულფასოვანი წარდგენა.

3. **ობიექტურობა და სანდოობა** - მიუკერძოებლობა, სიტყვისა და აზრის **თავისუფლება,** მართალი ინფორმაციის გავრცელება და მისი შესაბამისი განხილვა, შეფასება თუ ინტერპრეტაცია; ფეიკ-ნიუსებისგან საზოგადოების დაცვა; საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება; საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმის ასახვა. სანდო და ობიექტური ინფორმაციის გავრცელებისას არსებითი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს აქცენტს საზოგადოებრივ სინერგიაზე, ერთიანობასა და საერთო მიზანდასახულობის გააზრებასა და გაცნობიერებაზე. სტანდარტს უნდა ქმნიდეს ზომიერება, სიცხადე, მსჯელობასა და არგუმენტაციაზე დაფუძნებული გადამოწმებული ინფორმაცია.

4. **საინფორმაციო სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობა** (პოლიტიკური თუ რელიგიური ორგანიზაციებისგან, ასევე კომერციული გავლენისაგან). კანონის ეს მოთხოვნა უპირობოდ უნდა შესრულდეს. საზოგადოების მთავარი ინტერესი ის არის, რომ მისი ყველა წევრის კანონიერი ინტერესი დაბალანსებულად დაცული იყოს. პირველი არხის ეთერში გამორიცხული უნდა იყოს ისეთი საინფორმაციო ან შემოქმედებითი პოლიტიკა, რომელიც იგულისხმებს სიძულვილის ენას, დაპირისპირების წაქეზებას, ყალბად მოტივირებულ ინტერპრეტაციებს.

5. **ოპერატიულობა** - პირველი არხი ყველგან პირველი უნდა იყოს და საამისოდ უნდა მუშაობდეს პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში. საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოებასთან სანდო ინფორმაციის უპირატესი მეგზური უნდა იყოს - არ უნდა დარჩეს ქვეყნისთვის, სახელმწიფოსთვის, ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი არც ერთი მოვლენა, რომელსაც პირველი არხი პირველი არ გამოეხმაურება.

6. **მუდმივი ზრუნვა სატელევიზიო თუ სხვა მედიაპროდუქტების ხარისხისა და ყურებადობის ამაღლებაზე** - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი კარგად უნდა იცნობდეს მსოფლიო საზოგადოებრივი მაუწყებლობის საუკეთესო პრაქტიკას, ესწრაფვოდეს იმას, რომ მის გადაცემებს ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდეს - როგორც საინფორმაციო, ისე ანალიტიკური, საგანმანათლებლო, სახელოვნებო, გასართობი თუ სპორტული მიმართულებით. არხის მთავარი მოწოდება უნდა იყოს: „სრულყოფას არ აქვს საზღვარი". ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მუდმივად მზად უნდა იყოს სულ უფრო მზარდი კონკურენციისთვის და ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებს შეაგებოს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები.

7. **განათლების რეალური პრიორიტეტულობა** - პირველი არხი უნდა იყოს საქართველოს საგანმანათლებლო ფლაგმანი, რომელიც მუდმივად იზრუნებს იმაზე, რომ მოქალაქეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას მუდმივად მიაწოდოს ისეთი საგანმანათლებლო, შემეცნებითი თუ მხატვრული პროდუქცია, რომელიც არსებითად უზრუნველყოფს საზოგადოების

განვითარების უმთავრეს საჭიროებებს. ამ მხრივ არხმა უნდა გააძლიროს ყურადღება საგანმანათლებლო-შემეცნებითი ფილმების შექმნაზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ასევე: პერიოდულად მოაწყოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე სარეფორმო პროცესების განხილვები, საჯარო დისკუსიები, რომლებიც ქართველ საზოგადოებას მართებულ და სრულ წარმოდგენას შეუქმნის ამ სფეროში მიმდინარე პროცესებზე.

8. **კონკურენტული და ხარისხიანი საკადრო პოლიტიკა** - არხის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება და ძლიერი შიდა კონკურენცია. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. სატელევიზიო ბადე საინტერესო და მაყურებლისთვის მომხიბვლელი უნდა იყოს - საინტერესოობასა და მომხიბვლელობას (რასაც ცოდნა, ესთეტიკური ხედვა და გემოვნება სჭირდება) კი პროფესიონალები ქმნიან. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა იზრუნოს თავისი კადრები მუდმივ განვითარებაზე - ყოველთვის ქმნიდეს ახალ შესაძლებლობებს თანამშრომელთა შემოქმედებითი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად.

9. **მაღალი ხარისხის რადიო და ვებპროდუქციის შეთავაზება მომხმარებლისთვის** - ამ მიმართულებით ბოლო წლებში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, შეიქმნა თანამედროვე მედია-პლატფორმები, თუმცა ეს საკმარისი არ არის - კვლავაც ბევრი მუშაობაა საჭირო, რათა მომზადდეს და ამოქმედდეს მაღალი ხარისხის რადიოგადაცემები და ისეთი მედია-პლატფორმები, რომლებიც ყველაე აქტუალურ თემებს ველაზე თანამედროვე ფორმებით წარუდგენენ მომხმარებლებს.